შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა №-11.

2017 წლის 10 ოქტომბრის N78 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ.თბილისი

17 ოქტომბერი 2017წ.

ერთის მხრივ ქურთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მისი გამგებლის ზვიად მინდიაშვილის სახით და მეორეს მხრივ ფ.პ ვაჟა ყოჩიშვილის სახით, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

2017 წლის 10 ოქტომბერს გაფორმებული N78 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში განხორციელდეს ცვლილება, ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში ხარვეზის გამო თანხის გადარიცხვა კვლავ ვერ ხერხდება (მიმწოდებლის სახელი და გვარი იტვირთება ლათინურ ენაზე), რის გამოსწორებაც შეუძლებელია. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია მიმწოდებლის წარმომადგენლად დაინიშნოს მისი მინდობილი პირი გიორგი მეზვრიშვილი (პ/ნ: 16001028920) 16.10.2017 წელს გაცემული მინდობილობა №171217122 -ის საფუძველზე და შესაბამისად ზ/ა ხელშეკრულების თანხა დაერიცხოს ვაჟა ყოჩიშვილის მინდობილ პირს გიორგი მეზვრიშვილს შემდეგ რეკვიზიტზე:

ა). ა/ა GE47BG0000000845576900, ბანკის კოდი: BAGAGE22

1. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს ქურთის მუნიციპალიტეტსა და ფ/პ ვაჟა ყოჩიშვილს შორის 2017 წლის10 ოქტომბერს გაფორმებული N78 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2. დანარჩენი მუხლები დარჩეს უცვლელი.

მხარეთა ხელმოწერა

შემსყიდველი:

ქურთის მუნიციპალიტეტი:

გამგებელი ზვიადი მინდიაშვილი

მიმწოდებელი:

ფ/პ ვაჟა ყოჩიშვილი

ვ. ყოჩიშვილი

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათას ჩვიდმეტი წლის თექვსმეტ ოქტომბერს მე, ნოტარიუსს ქ. დუშეთში, ცირა ლომაიას, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. დუშეთი, სტალინის ქ. №62, მომმართა **ვაჟა ყოჩიშვილმა (დაბ. 17.09.1973 წ. ცხინვალში, რეგისტრირებული მისამართი: გორი ს. ქურთა. პ/№59004000596),** მან განაცხადა რომ სურს მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ვაჟა ყოჩიშვილი** ვენდობი **გიორგი მეზვრიშვილს (დაბ. 21.06.1992წ. დუშეთში, რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, II მიკრო/რაიონი, კორპუსი 10, ბინა 54. პ/№16001028920)** რომ იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა კომპეტენტურ ორგანოში და დაწესებულებაში, მათ შორის აიღოს ჩემს სახელზე გაცემული/დარიცხული/დასარიცხი ნებისმიერი თანხა/ხელფასი და ამასთან დაკავშირებით იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციაში, ყველა საჯარო და კერძოს სამართლის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, საბანკო დაწესებულებებში (მათ შორის და არამარტო სს „საქართველოს ბანკ"-ში), რათა მიიღოს მინდობილმა პირთა თანხა თავის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვით, ანგარიშის ნომერი GE47BG0000000845576900; მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე მოიპოვოს და ჩააბაროს ნებისმიერი ცნობა და საჭირო დოკუმენტაცია აღნიშნული დავალების განსახორციელებლად.

ეს მინდობილობა ჩემი თხოვნით შეადგინა ნოტარიუსმა, ცირა ლომაიამ, რომელმაც წამიკითხა იგი. მე მოვიწონე მინდობილობა და მოწონების დასტურად ხელი მოვაწერეთ მას.

მინდობილობა ძალაშია 2017 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით.

მე შევამოწმე **ვაჟა ყოჩიშვილის** პირადობა, ქმედუნარიანობა, და ნების გამოვლენის ნამდვილობა. მისი ნების გამოვლენა მის პირადობასა და ქმედუნარიანობაში ეჭვი არ შემპარვია. მე მას წავუკითხე მინდობილობა და მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ამ მინდობილობას.

მინდობილობა შედგენილია სამ ეგზემპლარად.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური ათი ლარი + ორი ლარი რეგისტრაციის საზღაური, სულ თორმეტი ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი, 2011 წ. №507) 31-ე(VII) და 39-ე მუხლებისა.

ვაჟა ყოჩიშვილი ვაჟა ყოჩიშვილი

ნოტარიუსი: ცირა ლომაია

საქართველო ნოტარიუს ცირა ლომაია
ГРУЗИЯ НОТАРИУС ЦИРА ЛОМАЯ
01017035749
GEORGIA NOTARY TSIRA LOMAIA